საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030681918623620

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/1152** **06 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) გაფორმებული GEO-H-NCDC და GEO-T-NCDC საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ და „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა” პროგრამების ფარგლებში განახორციელებს 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვებს.
გაცნობებთ, რომ საგრანტო პროგრამის 2020 წელს დაგეგმილი შესყიდვების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვებს გეგმაში, განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ: 66500000 CPV კოდით გათვალისწინებული იყო 41,000.00 ლარი, სადაზღვევო მომსახურების შესყიდვისთვის (კონსოლიდირებული ტენდერი), რომელიც გაიყო 3 ნაწილად 4,253.00 ლარი კონსოლიდირებული ტენდერი (შესყიდვა განხორციელებულია), 9,900.00 გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვების თანხმობა № SMP200001320) და დარჩენილი თანხით 26,847.00 დაგეგმილია შესყიდვის ელექტრონული ტენდერით განხორციელება. ასევე 80500000 CPV კოდიდან (ელექტრონული ტენდერი) 53,000.00 ლარი გადატანილია იგივე კოდზე (გამარტივებული შესყიდვა - სახელმწიფო შესყიდვების თანხმობა № SMP200001301). 32200000 CPV კოდიდან 10,000.00 ლარი გადატანილია 50100000 CPV კოდზე. 63100000 CPV კოდზე დაზუსტდა შესყიდვის საშუალება.
ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდა დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ბიუჯეტის ფარგლებში, რაც გავლენას არ ახდენს 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების ჯამურ ღირებულებაზე.
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის №01-342/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ გლობალურ ფონდთან გაფორმებული GEO-H-NCDC და GEO-T-NCDC საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში, 2020 წელს განსახორციელებელი სახელწიფო შესყიდვების გეგმის კორექტირებულ ვარიანტს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე